საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის**
**სახელმწიფო**
**კონსერვატორია**
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge

KA000038909851824

**№ 02-84-R** **23 / დეკემბერი / 2024 წ.**

# ბრძანება

**“სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშვნის, წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ” კონსერვატორიის რექტორის 2024 წლის 18 დეკემბრის № 02 - 8 1 –R ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მე–16 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე–20 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე და 63-ე მუხლების, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-7 მუხლის, მე–14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“, „ნ“ და „ო“ ქვეპუნქტების, მე-9 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „სსიპ-თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს წევრის მერი ჟვანიასათვის, პირადი განცხადების საფუძველზე, აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 მაისის # 17/2024 და „სსიპ-თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს წევრებისთვის - მარინა ქავთარაძისა და გვანცა ღვინჯილიასთვის, პირადი განცხადებების საფუძველზე, აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 3 ივნისის #20/2024 დადგენილებების საფუძველზე,

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.შევიდეს ცვლილება “სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშვნის, წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ” კონსერვატორიის რექტორის 2024 წლის 18 დეკემბრის № 02 - 8 1 –R ბრძანების მე-4 პუნქტში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია განხორციელდეს 2024 წლის 19 დეკემბრიდან 2024 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით 10.00-დან 18.00 საათამდე, კვირის გარდა; (მისამართი: ქ. თბილისი, ალ. გრიბოედოვის ქ. N№8-10, ოთახი N216); სარეგისტრაციო განაცხადისა და დოკუმენტაციის გამოგზავნა ასევე შესაძლებელია ელექტრონულ მისამართზე: konkursi@tsc.edu.ge“;
2. შევიდეს ცვლილება “სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშვნის, წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ” კონსერვატორიის რექტორის 2024 წლის 18 დეკემბრის № 02 - 8 1 –R ბრძანების მე-5 პუნქტში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: ‘5. აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატებს ევალებათ სარეგისტრაციო განცხადებაში დაადასტურონ, რომ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ უკავიათ აკადემიური ან ადმინისტრაციული თანამდებობა. აკადემიური საბჭოს წევრს არ შეიძლება კონსერვატორიაში იმავდროულად ეკავოს ადმინისტრაციული თანამდებობა, გარდა რექტორისა, ან იყოს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი.
3.წინამდებარე ბრძანების საჯაროდ გაცნობის მიზნით თვალსაჩინო ადგილზე განთავსება დაევალოს კონსერვატორიის საქმეთა წარმოების სამსახურს.

4. ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებგვერდზე www.tsc.edu.ge;
5.ბრძანების შესასრულებლად გადაცემა მასში მოყვანილ დაინტერესებულ პირთათვის დაევალოს კონსერვატორიის საქმეთა წარმოების სამსახურს.
6. ბრძანება ძალაში შედის გამოცემისთანავე.
7.წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12კილომეტრი, №64).

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

გიორგი ვაჩნაძე